აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 52

13 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის 2004 წლის 13 ივნისის სამუშაო დღედ გამოცხადების თაობაზე

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ'' კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენ:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის 2004 წლის 13 ივნისი გამოცხადდეს სამუშაო დღედ.

მუხლი 2. დაევალოს უსკოს ეკონომიკურ სამსახურს, აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის შესაბამისად მოახდინოს კომისიის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება.

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ა.რ. უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) ხელმოწერიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა